ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2/210519/1

ქ. თბილისი **21 მაისი, 2019 წელი**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის გიორგი გომარელის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ # 204525585, სახელმწიფო ხაზინა, კოდი №TRESGE22, ანგარიში: GE24NB0330100200165022

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ **სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“** მისი გენერალური დირექტორის მოადგილის (აღმასრულებელი დირექტორი) ირაკლი ღვალაძის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ #3, ტელეფონის ნომერი: 2 98 21 35; ს/კ 204468664, მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა, მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში , ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი - 7 0846 7499.

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1.ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, **ელექტრუნული სურათების (22312000 - სურათები)** შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, სსიპ შემოსავლების სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 20 მაისის N54404-21 მოხსენებითი ბარათისა და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

1.2.1 **შესყიდვის ობიექტია:**

ა) ოთხი ცალი ელექტრონული სურათის:

#481 საქართველოს სამხედრო გზა, სადგური „მლეთა“

#5270 საქართველოს სამხედრო გზა, „ლარსის“ საგუშაგო

#708 საქართველოს სამხედრო გზა, დარიალის ხეობა

#5273 საქართველოს სამხედრო გზა, ბალტიის საგუშაგო

ერთი ელექტრონული სურათის ღირებულება შეადგენს: 180.00 (ას ოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **720 (შვიდას ოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს.** ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და გადასახადების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

3.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

3.2.1 საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

3.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მოწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

3.2.3 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

3.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან **3 (სამი)** სამუშაო დღის ვადაში.

4.2 **ელექტრუნული სურათების მიწოდება უნდა განხორციელდეს ელ. ფოსტაზე** t.andriadze@rs.ge **,** ხოლო CD დისკზე ჩაწერილი ეგზემპლიარის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, აბზიანიძის ქ.№4.

4.3. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

5.2 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან).
5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსი პირია შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

6. ანგარიშსწორება
6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1გაუწიოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;
7.1.2. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.4. დროულად განიხილოს `შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;
8.2.2.. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს

რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული სურათების მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით;
13.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოცემულ მომენტში გადასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით;
13.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0.5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმირ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობიდან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა
14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;
14.1.2.ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;
14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2019 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „შემოსავლების სამსახური”	სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“
REVENUE SERVICE — Digitally signed by REVENUE SERVICE Date: 2019.05.21 19:42:00 +04'00'	LEPL Georgian National Museum — Digitally signed by LEPL Georgian National Museum Date: 2019.05.21 17:41:23 +04'00'
გიორგი გომარელი	**ირაკლი ღვალაძე**
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	გენერალური დირექტორის მოადგილე (აღმასრულებელი დირექტორი)